საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

www.mofea.ge

6018 ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119 ტელეფონი: (04 22) 27 35 10 (102) ფაქსი: (04 22 27 66 71)
6018 №119 Komakhidze str, Batumi, Georgia Tel: (04 22) 27 35 10 (102) Fax: (04 22 27 66 71)

868-01-01-10-2-202202281700

https://edocument.ge/AdjaraGov/public

N 01-01-10/868
28/02/2022

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტროს

ასლი: შპს „ბათუმის წყალი“-ს (ს/ნ 245 556 679)
გენერალურ დირექტორს ბატონ ალექსანდრე მჟავანაძეს
მის: ქ.ბათუმი, თაბუკაშვილის ქ.N19

გაცნობებთ, რომ შპს „ბათუმის წყალი“-ს 2021 წლის 30 დეკემბრის N 60-1421364150 განცხადების საფუძველზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება შპს „ბათუმის წყალი“-ს საკუთრებაში არსებულ მეჯინისწყლის სათავე ნაგებობის ტერიტორიაზე მდებარე 22 (ოცდაორი) ჰაბურღილიდან სასარგებლო წიაღისეულის-მიწისქვეშა მტკნარი წყლის (წყალმომარეგების დანიშნულებით) მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით.

აღნიშნულთან დაკავშირებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს 2022 წლის 17 თებერვლის N08/83 წერილით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს გადმოეგზავნა შესაბამისი გეოსაინფორმაციო პაკეტი, რომლის თანახმადაც ირკვევა შემდეგი:

- ლიცენზია გაიცემა მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვებაზე (წყალმომარაგების დანიშნულებით), ქ.ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლების მიმდებარე ტერიტორიაზე 22 (ოცდაორი) ჰაბურღილზე 30 000 000 m^3-ის წელიწადში, შპს „ბათუმის წყალი“-ს კუთვნილ ტერიტორიაზე.
- აღნიშნული ობიექტი დაშორებულია ქ. ბათუმიდან 2,5 კმ.-ზე.
- მანძილი სახელმწიფო საზღვრიდან აღემატება 10 კმ.-ს.
- სალიცენზიო ობიექტი (22 ჰაბურღილი) მდებარეობს ქ.ბათუმში, მეჯინისწყლის დასახლების მიმდებარე ტერიტორიაზე. მდ.ჭოროხის მარჯვენა ჭალისზედა ტერასაზე.
- ტერიტორიაზე არ ფიქსირდება წითელ ნუსხაში აღნიშნული ხე-მცენარეები, ასევე არ ფიქსირდება დაცულ ტერიტორიებთან, მჭიდროდ დასახლებულ ტეროტორიებთან, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან და სხვა ობიექტებთან.
- წიაღით სარგებლობა მოცემული კოორდინატების საზღვრებში დასაშვებია, ვინაიდან აღნიშნული საქმიანობა არ გამოიწვევს გეოდინამიკური სიტუაციის გაუარესებას.
- აღნიშნული მიზნით გაცემული ლიცენზია არ გამოიწვევს წყლის, ნიადაგის, მიწის დაბინძურებას, ნარჩენების წარმოქმნას, გარემოს დაბინძურებას და ხმაურს.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისადმი დაქვემდებარებული ამ კოდექსის II დანართით გათვალისწინებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების

მიზნით, წარმოგიდგენთ შპს „ბათუმის წყალი“-ს სკრინინგის განცხადებას, 22 (ოცდაორ ჭაბურღილზე) სასარგებლო წიაღისეულის- მიწისქვეშა მტკნარი წყლის (წყალმომარაგების დანიშნულებით) მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას და შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას.

დანართი: „19“ ფურცელი.

პატივისცემით,

ჯაბა ფუტკარაძე

მინისტრი

.